**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო**

ქ. თბილისი № 1/284 „30“ ნოემბერი 2016 წ.

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**იჯარის ხელშეკრულების დადებაზე სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს წერილობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლომ და მოითხოვა პეკინის ქ. №29-ში მდებარე სასამართლოს შენობის პირველ სართულზე მოქალაქეთა მოსაცდელის მოწყობა. იქედან გამომდინარე, რომ სასამართლოს შენობის ფართი არ იძლევა აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, საჭიროა გაფორმდეს იჯარის ხელშეკრულება მომიჯნავე ფართის მესაკუთრე ზაურ ქილიფთართან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, გააფორმოს იჯარის ხელშეკრულება ზემოაღნიშნულ ფართთან დაკავშირებით 1 წლის ვადით.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი